2019 წლის საშემოდგომო სესიის პერიოდში დემოკრატიის ინდექსი – საქართველომ ჩაატარა დეპუტატების გამოკითხვა, რომლის ფარგლებშიც დეპუტატებმა ქვემოთმოცემულ კითხვებს უპასუხეს. გამოკითხვის შედეგების ანალიზი ასახულია ორგანიზაციის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში ,,საქართველოს პარლამენტის 2019 წლის საშემოდგომო სესიის მუშაობა; პარლამენტის წევრები, კომიტეტები და პარლამენტი."

1. რა არის ამ მოწვევის პარლამენტისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა?
2. რა საკანონმდებლო ინიციატივა არის ყველაზე ფუნდამენტური, რომელზეც თქვენ თავად მუშაობდით ან მუშაობთ?
3. რა მიღწევით ამაყობთ, რომელსაც საკუთარ ძალისხმევას უკავშირებთ?
4. თუ შეგიცვლიათ პარტიის კუთვნილება, რატომ?
5. თქვენს სახელზე მოქალაქეთა მხრიდან შემოსული განცხადებების რაოდენობა თვეში.
6. შემოსული განცხადებების პერიოდული ანალიზის შედეგები, მითითება გამოქვეყნების ადგილზე და შესაბამისი დოკუმენტი.
7. მოქალაქეთა განცხადებების ანალიზის შედეგებზე რეაგირების შესახებ ინფორმაცია.
8. საპარლამენტო ელ. ფოსტაზე რამდენი ელ. წერილი მიიღეთ და რამდენს უპასუხეთ თვის განმავლობაში? გთხოვთ, წარმოადგინოთ კონკრეტული იმეილ-მიმოწერის შინაარსი პერსონალურ მონაცემთა დაცვით.
9. ამომრჩევლებთან ჩატარებული ინდივიდუალური შეხვედრების რაოდენობა და თემატიკა.
10. თქვენ მიერ წარდგენილი კანონპროექტების რაოდენობა.
11. რამდენჯერ არ დაუჭირეთ მხარი წარდგენილ ინიციატივას (კანონპროექტი, დადგენილება, რეზოლუცია, კანდიდატის არჩევა და სხვ.)?
12. საპატიო და არასაპატიო მიზეზით გაცდენილი სხდომების რაოდენობა?
13. მინისტრის საათის დროს თქვენ მიერ დასმული კითხვების რაოდენობა.
14. პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების მიერ წარდგენილ ანგარიშებზე თქვენ მიერ დასმული კითხვების რაოდენობა.
15. ინტერპელაციის დროს თქვენ მიერ დასმული კითხვების რაოდენობა.
16. რა ტიპის და ვის მიმართ გააგზავნეთ პარლამენტის წევრის შეკითხვა და რა შედეგი მოჰყვა მას? მიღებული პასუხის მიხედვით, დააყენეთ თუ არა საკითხი პარლამენტში განსახილველად?
17. საკომიტეტო და პლენარულ სხდომებზე თქვენი საჯარო გამოსვლების რაოდენობა და თემატიკა.
18. თქვენი შეფასებით, იყო თუ არა როდისმე თქვენი გამოსვლა არაეთიკური?
19. პარლამენტს მიღმა თქვენი საჯარო გამოსვლების რაოდენობა, ტიპი (სატელევიზო გამოსვლა, შეხვედრები სხვადასხვა ჯგუფებთან, მათ შორის ამომრჩეველთა ჯგუფებთან შეხვედრები და სხვ.)?